საქართველოს მთავრობის

დადგენილება №288

2025 წლის 24 ივლისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/09/2015, 130030000.10.003.018893) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. №2 დანართის:

ა) მე-19 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) საქართველოს თავდაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შიდასაუწყებო ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებენ მათ შიდა საქმიანობას უშუალოდ ქვეყნის თავდაცვის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების, სამოქალაქო უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის სფეროებში;“;

ბ) 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 27.** ინფორმაცია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – დაზვერვის სააგენტოს ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის განაწილების (გარდა ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის პირველი თანრიგისა), მომუშავეთა რიცხოვნობის, სახელმწიფო შესყიდვების გეგმებისა და ანგარიშების (გარდა ელექტრონული, გამარტივებული ელექტრონული ტენდერებისა და კონკურსებისა) თაობაზე.“.

2. №3 დანართის:

ა) 23-ე და 30-ე პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) 24-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„24. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და მისი მოადგილეები, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – დაზვერვის სააგენტოს უფროსი და მისი მოადგილეები.“.

3. №4 დანართის:

ა) 35-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) 36-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„36. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში:

– განყოფილების უფროსები და ზემოთ;

– ოპერატიული და ოპერატიულ-ტექნიკური ქვედანაყოფების უფლებამოსილი თანამშრომლები;

– დაზვერვის ოფიცერი.“;

გ) 38-ე პუნქტი ამოღებულ იქნეს.
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**